MODERN ASPECTS OF TUSHETIAN HANDICRAFT (COLORING, KNITING, DECOR)[1]
თუშური ხელსაქმის თანამედროვე ასპექტები (ღებვა, ქსოვა, ორნამენტი)[2]

GULNARA KVANTIDZE
Doctor of History
Senior Curator of The Georgian National Museum
3, A. Purtseladze Street, 0105, Tbilisi, Georgia
ORCID:0000-0002-5582-0693
Tel:+(99532) 299 80 22
Fax:+(99532)298 21 33
E-mail: kancelaria@museum.ge
gulikokvantidze@yahoo.com
+995577570347

LIA LURSMANASHVILI
Doctor of Technical Sciences
Professor of The Georgian Technical University
77, Merab Kostava street, 0160 Tbilisi, Georgia
ORCID ID 0000-0001-9453-5820
Tel:+(99532) 277 11 11
E-mail:info@gtu.ge
l.lursmanashvili@yahoo.com
+995593619376

NATO PAILODZE
Doctor of Engineering Sciences
Akaki Tsereteli State University
N59, Tamar Mefe St. 4600, Kutaisi, Georgia
ORCID ID - 0000-0002-7298-6281
E-mail:info@atsu.edu.ge
nato.pailodze@atsu.edu.ge
+995577625371

[1] The research was carried out within the framework of the project - "Research of types of ancient Georgian woven ornaments and processing of textiles using traditional and modern technologies" with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (Grant - FR-21-19932).

[2] კვლევა განხორციელდა პროექტის - „ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება“ ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი (FR-21-19932).

NANULI ABESADZE
Doctor of Engineering Sciences
Akaki Tsereteli State University
N59, Tamar Mefe St. 4600, Kutaisi, Georgia
ORCID ID-0009-0009-5191-544X
E-mail:info@atsu.edu.ge
nanuli.abesadze@mail.ru
+995568383709

Abstract

The paper presents a study of modern aspects of Tushetian needlework, namely dyeing, weaving and ornamentation.

The aim of the research is to introduce information for the scientific flow about the quality of material, weaving technique, color and the degree of similarity to traditional ornaments of Tush woven products (clothing accessories, decorative items, etc.) made in the ethnographic life of the 21st century.

The research objects, which, in addition to material objects, include photos, audio (interviews with cultural heritage carriers) and video material, was collected during business trips and expeditions to Kartli, Kakheti, Tusheti and other regions of Georgia by a group of scientists in 2022. From the point of view of the research of modern Tush woven products, the authentic material preserved in the National Museum of Georgia, regional, private museums and preserved in modern life (families) is used as a parallel material.

At this stage of the research, some inaccuracies and irregularities were revealed both in terms of colors and ornaments. At the same time, the use of weaving techniques by traditional methods was observed.

The work will help the public interested in traditional Georgian textile industry, as well as scientists working in the field of clothing, practicing teachers and clothing designers.

Keywords: Tushetian; handicraft; dyeing; weaving; ornament, clothes; carpet; sock

გულნარა კვანტიძე
ისტორიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი
საქართველო, ქ. თბილისი, ა. ფურცელაძის ქ. 3, 0105
ORCID:0000-0002-5582-0693
Tel:+(99532) 299 80 22, Fax:+(99532)298 21 33
E-mail: kancelaria@museum.ge gulikokvantidze@yahoo.com

ლია ლურსმანაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N77. 0160
ORCID ID 0000-0001-9453-5820
Tel:+(99532) 277 11 11
E-mail:info@gtu.ge
l.lursmanashvili@yahoo.com
+995593619376

ნატო ფაილოძე
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59, 4600
ORCID ID - 0000-0002-7298-6281
E-mail:info@atsu.edu.ge
nato.pailodze@atsu.edu.ge
+995577625371

ნანული აბესაძე
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59, 4600
ORCID ID-0009-0009-5191-544X
E-mail:info@atsu.edu.ge
nanuli.abesadze@mail.ru
+995568383709

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია თუშური ხელსაქმის, კერძოდ ღებვის, ქსოვისა და ორნამენტის თანამედროვე ასპექტების კვლევა.

კვლევის მიზანია, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ იქნას ინფორმაცია XXI-ე საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამზადებული თუშური ნაქსოვი ნაწარმის (სამოსის აქსესუარები, დეკორატიული ნივთები და სხვ.) მასალის რაობის, ქსოვის ტექნიკის, ფერის მიღებისა და დეკორის ტრადიციულ ორნამენტთან მსგავსების ხარისხის შესახებ.

საკვლევ ობიექტებს, რომელიც ნივთიერის გარდა მოიცავს ფოტო, აუდიო (ინტერვიუები კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან) და ვიდეო მასალას, მეცნიერთა ჯგუფმა თავი მოუყარა 2022 წელს, ქართლში, კახეთში, თუშეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში განხორციელებული მივლინებებისა და ექსპედიციების დროს. თანამედროვე თუშური ნაქსოვი პროდუქციის კვლევის თვალსაზრისით პარალელურ მასალად გამოყენებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, რეგიონულ, კერძო მუზეუმებში დაცული და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩნილი ავთენტური ნივთიერი მასალა.

კვლევის ამ ეტაპზე გამოვლინდა გარკვეული სახის უზუსტობები და დარღვევები როგორც ფერების, ასევე ორნამენტის თვალსაზრისით. ამავდროულად დაფიქსირდა ტრადიციული მეთოდებით ქსოვის ტექნიკის გამოყენება და სხვ.

ნაშრომი დაეხმარება ქართული ტრადიციული საფეიქრო საქმით დაინტერესებულ საზოგადოებას, ასევე სამოსის სფეროში მოღვაწე მეცნიერებს, პრაქტიკოს მასწავლებლებსა და სამოსის კონსტრუქტორებს.

საკვანძო სიტყვები: თუშური; ხელსაქმე; ღებვა; ქსოვა; ორნამენტი; სამოსი; ფარდაგი; წინდა

შესავალი

გლობალური გამოწვევების ფონზე, მცირერიცხოვანი ერის კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და სისტემატური განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა. საქართველოს კულტურა უნიკალური ეროვნული საგანძურია, რომელშიც ტრადიცია და თანამედროვეობა ორგანულადაა შერწყმული, ხოლო თვითგანახლების უნარი უწყვეტი პროცესია. კულტურული მემკვიდრეობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების, აზროვნებისა და ესთეტიზაციის, ინტელექტის, სულიერების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წყარო და ჰარმონიული საზოგადოების ფორმირების საწინდარია, ხოლო ამ მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და სისტემატური განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა.

საქართველოში მრეწველობის აღორძინებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანამშრომლობა ქვეყნის პრიორიტეტულ ნუსხაში მოქცეულ სფეროსთან - ტურიზმთან. ტურისტთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ბაზაზე ამა თუ იმ სფეროში სამეურნეო საქმიანობის განვითარებით. საწარმოებმა უნდა შექმნან პროდუქციის ისეთი სახეობები, რომელიც ტურისტთა მოთხოვნების ნუსხაში აღმოჩნდება და ამავე დროს უფრო მეტად წარმოაჩენენ ჩვენს მხატვრულ ესთეტიკურ გემოვნებას, სამეწარმეო ტექნოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას. ქართული კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული ნაწარმი ტურიზმის განვითარების ინტერესთა სფეროშია მოქცეული.

ასეთ ვითარებაში ხელსაქმის ისეთი ასპექტები, როგორიცაა მატყლის თელვისა და ბუნებრივი საღებავებით კოლორირების, ქსოვისა და მხატვრული დეკორირების ტრადიციული ტექნოლოგიური პროცესები სამრეწველო მაშტაბს იძენს, ხოლო მათგან შექმნილი ნაწარმი კი მასობრივ ეკო პროდუქციად გვევლინება.

საქართველოს ტერიტორიაზე ქსოვის საქმიანობა შინაგანი განვითარების კანონების საფუძველზე განვითარდა: წვნიდან მოხდა გადასვლა ხელით ქსოვაზე საქსოვი დაზგების გარეშე, გამოიყენეს თითისტარი, თითისტარიდან გადაინაცვლეს ჯარაზე თვლიან ჯარაზე და ვერტიკალური დაზგიდან-ჰორიზონტალურზე (ციციშვილი, 1998: 243) ეს ისტორია საქართველოში დღევანდელი მონაცემებით სავარაუდოდ, ენეოლითის პერიოდში დაიწყო. ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი კვირისთავები, ძვლის ნემსები, გრეხილი და შეღებილი სელის ბოჭკოები მეცნიერებმა 30 000 წლის წინანდელ არტეფაქტებად დაათარიღეს (Kvavadze, 2009).

საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული, აღმოჩენილია სელის, შალის, კანაფისა და აბრეშუმის ბოჭკოები, დართული ძაფები და სამოსის ფრაგმენტები. ასეთებია: III ათასწლეულის I ნახევრის ძაძიანი კერამიკა აღმოჩენილი თბილისში (დიდუბე), ურბნისსა (ქვაცხელა) და ახალციხეში (ე.წ. ამირანის გორა). რომელმაც კარგად შემოინახა უხეში ქსოვილის (ძაძის) ანაბეჭდებიცა და წმინდად დართული ძაფის კვალიც. ამავე დროისაა ურბნისში აღმოჩენილი მძივების ასასხმელად გამოყენებული ორწევრად შეგრეხილი შალის ნართი, VI-IV ათასწლეულის ქსოვილის

ანაბეჭდები მარნეულის გორანამოსახლარის უძველეს ფენებში, ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის შალის ქსოვილი ბედენის აკლდამაში, სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი საქსოვი იარაღები და სხვ.

ცნობებს ქართული ფეიქრობის შესახებ ძველ ბერძენ ისტორიკოს-მოგზაურთა ჩანაწერებშიცაა მოხსენიებული. მათი აღნიშვნით, ქართველები კარგი ხარისხის სელის ქსოვილს ამზადებდნენ (გეორგიკა, 1936). სელის გარდა სცოდნიათ აგრეთვე შალის, კანაფის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების მიღება, რაზეც ქართულ ლექსიკოგრაფიაში შემორჩენილი სხვადასხვა ტერმინების არსებობა მიანიშნებს.ასეთებია მაგალითად _ მეაბრეშუმეობის ძველი შესატყვისი _ ჭიჭნაუხტის საქმე, ოქრომკედისა _ ზეზი, შალისა _ სკლატი და სხვ.

ქართულ სივრცეში მაღალგანვითარებული საფეიქრო საქმე ასევე თვალსაჩინოდაა გადმოცემული ქტიტორთა სამოსის ფაქტურასა და შესამკობელ აქსესუარებში, რომელთა გამოსახულებები ქართული ეკლესია-მონასტრების რელიეფებსა და კედლის მხატვრობას საბედნიეროდ დღესაც ამშვენებენ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, საქართველოში ამზადებდნენ: სელის, კანაფის, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს. იქსოვებოდა როგორც სატანსაცმლე ქსოვილები და სამოსის აქსესუარები, ასევე ხალიჩური ნაწარმი. გულმოდგინედ ქსოვდნენ სადა თუ სახიან ხალიჩ-ფარდაგებს, ჯეჯიმებსა თუ ხურჯინებს, საფენებსა თუ ცხენის აღკაზმულობის ნაწილებს, მარტივად ართმევდნენ თავს სატანსაცმლე წვრილმანების დამზადებას, ისეთებს, როგორიცაა ბუზმენტები, ჩაფარიშები, ზონრები, ჩახსაკრავები, უბრალო თოკები და სხვ.

ქსოვდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, საქსოვად გამოიყენებოდა ორი სახის დაზგა: ჰორიზონტალური ანუ დგიმ-სავარცხლიანი და ვერტიკალური. ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე მხოლოდ სატანსაცმლე ქსოვილებს ქსოვდნენ, ვერტიკალურზე კი ქსოვილებსაცა და ხალიჩურ ნაწარმსაც.

საქსოვ დაზგას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებები ერქვა: კახეთში საფეიქრო, ხევში, გუდამაყარსა და ფშავ-ხევსურეთში ყდანი, სამეგრელოში ოშუალე, თუშეთში აკაზმა, გურიაში სამექლობო, სვანეთში-ლაჯშარი, ზემო რაჭაში-ქსელი და სხვ.

დაზგებს გარდა, ქსოვილის მოსაქსოვად საჭირო იყო ისეთი შრომის იარაღებისა და ხელსაწყოების გამოყენება, როგორიცაა: საჩეჩი, თითისტარი,ჯარა-ტარი კვირისტავი, სახრელი, და სხვ. აღნიშნული იარაღების გამოყენებით მქსოველი ნედლეულს საქსოვად ამზადებდა.

ნედლეულს ხარისხისა და ფერის მიხედვით არჩევენ. რეცხავენ, აშრობენ, ჩეჩავენ საჩეჩელზე და ართავენ თითისტარზე. დართულ ძაფს გრეხენ ჯარაზე და გორგლებად ახვევენ. სურვილის შემთხვევაში ღებავენ მცენარეულ ან ქიმიურ საღებავებში.

ნედლეულის მომზადების შემდეგ ამზადებენ საქსოვ მექანიზმს. რაც ქსელისა და საზედაო ნართის გამართვას ითვალისწინებს. (ძაფებს რომლებიც ქსოვაში სიგრძივი მიმართულებითაა განლაგებული, ქსელის ძაფი ეწოდება, ხოლო ძაფები რომლებიც ქსელის ძაფებს მხოლოდ პერპენდიკულარულად კვეთენ მისაქსელის ძაფები.

დაზგაზე, როგორც აღვნიშნეთ, იქსოვებოდა ყველა სახეობის ქსოვილი. შალი იქნებოდა, სელი, ბამბა თუ აბრეშუმი. განსხვავება იყო სავარცხლის სახეობებში. ყველაზე წმინდა სავარცხელი აბრეშუმის ქსოვილის მოსაქსოვად იხმარებოდა. სავარცხლის კბილის სისქე-სიდიდეს მოსაქსოვი ნაჭრის სახეობის მიხედვით არჩევდნენ.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ტრადიციული საფეიქრო საქმე რეგიონების მიხედვით კარგად შესწავლილი თემაა. მათ შორის ერთ-ერთი ასეთია თუშური ხელსაქმე. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელი შრომა გაწია გიორგი ბოჭორიძემ, მან ველზე

შეგროვილი მასალის სისტემატიზაცია, შესწავლა და გაანალიზება მოახდინა [ბოჭორიძე, 1993].

არანაკლებ მნიშვნელოვანია სერგი მაკალათიას დამსახურება თუშური კულტურის კვლევის საქმეში. მისი ფუნდამენტური გამოცემა თუშეთის შესახებ, დღესაც სახელმძღვანელოს როლს ითავსებს ზოგადად თუშეთის კვლევის საქმეში (მაკალათია, ს. 1983).

დიდი შრომაა ჩადებული გიორგი ჩიტაიასა და ავტორთა _ პაატა გუგუშვილის, ქეთევან ლომთათიძის, მიხეილ გეგეშიძის, კოტე გრიგოლიას, ივანე გიგინეიშვილის, ვახტანგ ჯაფარიძის, აკაკი სოხაძის მიერ გამოცემულ ხუთტომეულში _ „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. წიგნში შეტანილია ათეულობით წლების განმავლობაში თავმოყრილი და დამუშავებული ეთნოგრაფიული მასალა ქართული საოჯახო საფეიქრო მრეწველობის შესახებ. მდიდარი ინფორმაციაა დაცული ხალხური ღებვის, ქსოვილის ნედლეულის დამუშავების, ქსოვის, ქარგვისა და კერვის შესახებ (მსშხი, 1982).

ტრადიციული საფეიქრო საქმის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია ქიშვარდი ისაკაძის ღვაწლი, რომელმაც წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი საფეიქრო საქმის შესახებ (ისაკაძე, 1970).

ძალზედ მნიშვნელოვანი ციალა ყარაულაშვილის, ციალა ბეზარაშვილის, ნანული აზიკურის, ლეილა მოლოდინისა და სხვა ეთნოგრაფ ქალთა ფინდამენტური ნაშრომები თუ ცალკეული სტატიები.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შედარებით-ანალიტიკური, ფოტოგრაფირებისა და მასალების შეგროვების მეთოდები. ისტორიული მეთოდის დახმარებით თავი მოვუყარეთ წარსულში დაცულ ცნობებს და მოპოვებული მასალა გავაანალიზეთ მომიჯნავე მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნის გამოყენებით. შედარებითმა ანალიტიკურმა მეთოდმა კი წარსულის ამსახველი საერთო სურათის აღდგენის საშუალება მოგვცა.

დისკუსია

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა შესაძლებელია განხორციელდეს სახალხო მეურნეობის განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გზით. ამისათვის აუცილებელია რაციონალურად იქნას გამოყენებული ქვეყნის საწარმოო პოტენციალი. ტექნიკურმა პროგრესმა, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულველყოს საუკუნეთა განმავლობაში გამონაცადი ბევრი ისეთი დარგი, რომელთა ქმედითობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანთა ცხოვრებისეული ყოფა. საჭიროა ეს დარგები გადავარჩინოთ და გონივრულად შევუხამოთ აწმყოს.

ჩვენი საზოგადოების ინტერესი და მეტიც, სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური პროცესების იმგვარად განხორციელებაში, რათა უმნიშვნელოვანეს თანამედროვე ტექნიკურ აღმოჩენათა პარალელურად, რაციონალურად იქნას გამოყენებული ქვეყნის წარსული მიღწევები და გამოცდილებანი.

თანამედროვე სამყაროში კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების დაცვა და ინდუსტრიულ მემკვიდრეობად ქცევის პროცესი სრულიად ახლებურ გააზრებას

წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განვითარებული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი ტრადიციული ხელსაქმე.

2022 წლის ზაფხულში, პროექტის - *„ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება“* ფარგლებში, მეცნიერთა ჯგუფმა ქართლში, კახეთში, თუშეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში განახორციელა მივლინებები და ექსპედიციები. ველზე მუშაობის დროს, საკვლევ საკითხთან მიმართებაში შეგროვდა ფოტო, აუდიო (ინტერვიუები კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან) და ვიდეო მასალა.

კვლევის მიზანი იყო თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში დამზადებული თუშური ნაქსოვი ნივთების შესწავლა მასალის, ღებვის, ქსოვისა და ორნამენტის მიხედვით. სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენებით შევისწავლეთ ავთენტური ნივთები, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, რეგიონულ და კერძო მუზეუმებში, ასევე შემორჩენილია ყოფაში (ოჯახებში).

კვლევა გრძელდება. ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მივიღეთ შემდეგი სურათი:

საქსოვი მასალა: ინდივიდუალური მქსოველები, ინდ. მეწარმეები, პროფესიული სასწავლებლები და სხვ. საქსოვ მასალად გამოიყენებენ: 1. შინნამზად ნართს, რომლის მოხმარება მიზანშეწონილია ჩხირებით; და 2. შ.პ.ს." თუშეთი"-ს მიერ დამზადებულ ორწვერა ნაგრეხი ნართს, რომელსაც შინნამზადის მსგავსად ქსოვენ ჩხირებით. დამზადებული ცალწვერა ნართით ქსოვა შესაძლებელია როგორც ჩხირით ასევე ყაისნაღით.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოძიებული საოჯახო პირობებში დამზადებული ნართი არ გამოდგება არც საოჯახო და არც საწარმოო მანქანაზე ქსოვისთვის.

დღევანდელ ქართულ ბაზარზე არსებული სხვადასხვა ქარხნული ნართის ანალიზმა გვიჩვენა რომ ნართით, რომელთა ხაზობრივი სიმკვრივე არის N =2,5;T= 400 და N= 8; T= 125 ქსოვა შესაძლებელია ჩხირით, ყაისნაღით და საოჯახო საქსოვ მანქანაზე, ხოლო საწარმოო 8,10 და მეტი კლასის მანქანაზე საქსოვად აღნიშნულუ ნართი არ გამოდგება; საწარმოო 8 და 10 კლასის მანქანებისათვის იდეალურია ნართი შემდეგი ხაზობრივი სიმკვრივით : N= 32 ; T = 31 და N = 32/2; T= 31/2 .

გრეხვის სიდიდეები განვსაზღვრეთ გრეხმზომზე და მივიღეთ შემდეგი შედეგი: შინნამზადი ნართის და თანამედროვე ქარხნული ნართის გრეხვის სიდიდე შეესაბამება ტრიკოტაჟის მოსაქსოვად საჭირო პარამეტრებს. ასეთივეა შ.პ.ს." თუშეთი"-ს მიერ წარმოებული ცალწვერა ნართის გრეხვის სიდიდე, ხოლო ორწვერა ნართის ნაწილს ახასიათებს ზედმეტი გრეხვა, რის გამოც მოხდა ცალკეული მოქსოვილი ნიმუშის მარყუჟთა სვეტების გადახრა.

ავთენტური მასალისა და შესყიდული ნართის შესწავლის საფუძველზე, პროექტის ფარგლებში მქსოველებმა ცალკეულ დეტალებად გამოიყვანეს როგორც თუშური, ასევე ხევსურული ორნამენტები, რაც დიდი მსგავსებით ხასიათდება ავთენტურ ნივთიერ მასალასთან (იხ. სურ. 1. 2. 3. 4).

დღევანდელ ბაზარზე გამოტანილი ნაქსოვი ნივთები, როგორიცაა ფარდაგები, წინდები, დეკორატიული ნივთები, სუვენირები და სამოსის აქსესუარეაბი და სხვ. ნაქსოვია ტრადიციული მეთოდების გამოყენებით (ჩხირებით ქსოვა, დაზგაზე ქსოვა).

ღებვა: ტრადიციულად, ბუნებრივ ინგრედიენტებს თავდაპირველად აგროვებდნენ და ახმობდნენ ჩრდილში შენახვის თვალსაზრისით. ხოლო საღებარს შემდეგი თანმიმდევრობით ამზადებდნენ: ადუღებდნენ ჭურჭელში 4 წილ წყალს, 1 წილ მცენარეს; 4 საათის განმავლობაში აცხელებდნენ ადუღებამდე; შემდეგ წურავდნენ. შესაღებ მასალას წინასწარ რეცხავდნენ და 1 სთ-ის განმავლობაში ხარშავდნენ ბევრ წყალში, შემდეგ კი დებდნენ ფერსაჭერში, თუ საჭირო იყო, კიდევ ადუღებდნენ 5 - 10 წუთის განმავლობაში.

წითელი ფერი მიიღებოდა: ენდროს, ვაშლისა და მურყანის ხის ქერქის ნახარში, კაკლისა და მუხის ხის ქერქის ნახარში, ჯიქური ცოცხის კაკლის ნახარში და სხვ.

ნარინჯისფერი მიიღებოდა: თრიმლის გულისგან; ***ყვითელი*** - ღოლოს ძირისა და დეკის ფოთლის, ფიჭვის ხის ხავსის, ვაშლის ხის ქერქის, კოწახურის ძირების, რძიანა ბალახისა და სხვ. ***მწვანეს*** ღებულობდნენ ხეშავის კურკის, ბუერას, თხილის, ვირისტერფასა და სხვ. ნახარშებისგან. ლურჯსა და ცისფერს ლილისგან, სოსანისგან, ანწლის კაკლის წვენისგან და სხვ.

ველზე მუშაობის დროს, თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან ჩაწერილი ინტერვიუების, ბაზარზე გამოტანილ ნაწარმზე დაკვირვებითა და შესწავლით დადგინდა, რომ საღებრებად გამოიყენებენ როგორც ბუნებრივ ინგრედიენტებს, ასევე ქიმიურ დანამატებს.

თანამედროვე სამღებრო პრაქტიკაში დამკვიდრებულია საღებრებად ღვინის, ალუბლის, ხახვის ფურცლების, კაკლის წენგოს, ფოთლების, დაფნისა და სხვ. მასალების გამოყენება. საღებრის დამჭერად ძირითადად გამოიყენებებ ძმარს და შაბს.

აღნიშნული საღებრებით შეღებილი ნივთები ზოგიერთ შემთხვევაში აცდენილია ქართულ დომინანტ და მეორეულ ფერებს.

ორნამენტი: თუშური ჭრელა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უწოდებენ ორნამენტს), სისადავითა და დახვეწილი გემოვნებით აღაფრთოვანებს და ფარული რიდის გრძნობას უღვიძებს მნახველს.

თუშურ ნაქსოვ ნივთებზე - სწორ, ზიგზაგ, ტეხილ, წყვეტილ და დახრილ ხაზებს შიგადაშიგ ენაცვლებიან ჯვრები, რომბები, რომბებში ჩასმული ჯვრები, ქართული ასო-ბგერა ზ-„ზენი“, გაფოთლილი ალვის ხე, წყლის წითელი ჭია, პეპელა და სხვ. ხაზებს გარდა, ორნამენტს ქმნიდნენ წერტილებისგან.

თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში დეკორის სტრუქტურა მეტნაკლებადაა დაცული, აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტორიც, რომ არ არის დაცული ორნამენტის ლოკალურობა. თუშურ ქსოვაში ერთმანეთში ირევა თუშური და საქართველოს სხვა რეგიონში დამოწმებული ორნამენტის სახეები.

კვლევის ამ ეტაპზე არ შეგვხვედრია თუშური ორნამენტისთვის დამახასიათებელი ისეთი ფიგურები, როგორიცაა პეპელაცი (რკალთა რიგი), საყდარი (სამკუთხედში ჩასმული სამკუთხედი), ფარის თვალადი (წრეში ჩასმული წრე), ჯარანადი (დახრილი ჯვრებით შევსებული ირიბი ჯვარი),ბოძი,გადავლილი, ნაფოტა,თვალი,ყვავისფეხა,ჯვრიანა(რომბში ჩასმული ჯვარი), დეზი და სხვ.

1. კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტურისტებისთვის გამართულ სავაჭრო ადგილებში ძველი და ახალი ფარდაგების სიჭარბემ. ძველი ფარდაგები გამოყენებული იყო დეკორის სახით. ხოლო ახალი ფარდაგები კომერციული მიზნით. სამწუხაროდ, ახალ ფარდაგებში სჭარბობს სტილიზაცია და დარღვეულია ავთენტურობა. ინტერვიუებში გამოკითხულთა უმრავლესობამ მოგვითხრო, რომ ფარდაგები აღარ მზადდება ადგილობრივად და ძირითადად შემოტანილია, თუმცა კარგად იციან ძველი ხელსაქმის ტრადიციები, რომელიც, სამწუხაროდ თანამედროვე ყოფაში თითქმის არ გამოიყენება.

უფრო სწორად, მნელად მოსაპოვებელია და ამავდროულად საკმაოდ ძვირი ჯდება. ადგილობრივი ნედლეულით დამზადებული ფარდაგები იშვიათია და მასობრივ მყიდველზე არაა გათვლილი.

2. არაერთი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას ძველი ქართული თექის შესახებ. არსებულ წყაროთა დახმარებით ვიგებთ თექის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ.

მოთელილი მასალისაგან შექმნილი ნაწარმი წარმოადგენდა არა მარტო სხეულის საფარველს როგორც თბური რეგულაციისა და მექანიკური დაზიანებისაგან დაცვის საშუალებას, არამედ ფუფუნებისა და ერთგვარი ესთეტიკური გემოვნების საგნებად ითვლებოდა.

ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულთა მიჯნითაა დათარიღებული ბედენის აკლდამა, რომელშიც სხვა ნივთებსა და ქსოვილების ნაშთებთან ერთად, მოთელილი ნაწარმის ფრაგმენტებიცაა წარმოდგენილი. გ. გობეჯიშვილის ვარაუდით, „ქეჩა , ალბათ, ქვეშ ეფინათ მიცვალებულებს“ - აქვე ნაპოვნია ნაბადგამოკრული ფარიც.

თელვის საქმიანობა იმდენად იყო განვითარებული, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით, შუა საუკუნეებში, ქსოვილებთან ერთად, ნაბდები გაჰქონდათ საქართველოდან.

მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა მატყლის თელვით მიღებულ მასალას თავსაბურსა და შესამოსელში, სახლის შიგა სივრცის გასალამაზებლად და დასათბუნებლად; იყენებდნენ აგრეთვე დროებითი საცხოვრებლის სახურავად, კარვებად, სასაპალნე და ტვირთმზიდავი პირუტყვის აღკაზმულობაში, გაშლილ ველზე საჩრდილობლად. გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინასა და სხვადასხვა საწესჩვეულებო რიტუალში. სახიან ნაბდებს ქალებს მზითვშიც ატანდნენ.

XIX საუკუნეში საუკეთესო ნაბდის წარმოებით ამიერკავკასიაში განთქმული იყო საქართველო. ნაბადი მზადდებოდა თუშეთში, სვანეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და რაჭაში. ნაბადი თავისი უნიკალური თვისებების – სითბოდამცავობისა და წყალგაუმტარობის გამო, კავკასიელი ხალხის გასაოცარი გამოგონებაა. ნაბადი ღღესაც კი იდეალურ, შეუცვლელ სამოსად ითვლება მთიელი მწყემსებისათვის, ნისლიან და უხვთოვლიან პირობებში. მოხმარების მოხერხებულობის, სისადავისა და პრაქტიკულობის წყალობით ნაბადი ძველთაგანვე იყო ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლის საყვარელი და პრესტიჟული სამოსი.

თუშეთში სამი სახის ნაბადი ითელებოდა: 1.საფენი ნაბადი; 2.თექა ნაბადი;3. საქუდე ნაბადი.(ბოჭორიძე, 1993:123-125). ნაბადი მზადდებოდა ინდივიდუალურად, ხელით , რაიმე მექანიზაციის გარეშე. ნაბდის დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნედლეულის ხარისხს. ნაბდისათვის შეარჩევდნენ ყველაზე საუკეთესოს. მატყლს თავთუშური ნაბადი ძირითადად თეთრი, შავი ან ლეგა იყო (ბოჭორიძე,1993:124), თუმცა საფენ ნაბადს უკეთებდნენ ნაჭრელს: ზოლი, გატოტილი,შიბი, თვალი, ჯირკვანაი,ჯარანაი და სხვ

კვლევის შედეგად მხოლოდ საქუდე ნაბადის თელვის პროცესი დასტურდება.

3. ძველთაგან ცნობილია, რომ მთაში უკეთ იღებება მატყლი, ვიდრე ბარში. ცხადია მთაში ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე აუმჯობესებს ჟანგვის ხარისხს და შესაბამისად ღებვის ხარისხსაც. მეტად საინტერესოა ხელსაქმეში გამოყენებული ფერთა გამა და შესაბამისად საღებრების მრავალფეროვნება. საქართველოს ეთნოკულტურა ამ მხრივ ძალზე მდიდარია. დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თუში მღებრები იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეულ საღებარებს, რაც თავის მხრივ მოითხოვდა მცენარეების თვისებების, სპეციფიურობის ცოდნას და ღებვის ტექნოლოგიის შემუშავებას.გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ისინი ფერთა

ჰარმონიული შეხამების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდა. დღევანდელ პირობებშიც, თუშეთში ინტენსიურად გამოიყენებოდა ე.წ. ფიროსმანის ფერები (როგორც ცნობილია, ფიროსმანი 7 ძირითად ფერს იყენებდა, შემდეგ ტონალური შეხამებით ქმნიდა სხვა ფერებს); ბუნებრივი საღებრებით ღებვის პროცესის კვლევისას გამოიკვეთა,რომ თანამედროვე პირობებში ძირითადად იყენებენ ქიმიურ საღებარებს, ხოლო ბუნებრივ საღებარებს თითქმის აღარ ხმარობენ,მხოლოდ რამდენიმე ტიპის საღებარის - ენდრო, ხახვის ფოთოლი, წენგო,თავშავა და დეკა,დასტურდება იშვიათად.

4. თანამედროვე ეკონომიკური პროცესების ინტენსიური განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება ადგილობრივი ნედლეულის რაციონალურად გამოყენება. სხვა დარგებისაგან განსხვავებით ამ მხრივ შალისა და საქსოვი ძაფების წარმოება საქართველოში შესაძლებელია თუშური მატყლის გამოყენებით, რომლის განსაკუთრებული თვისებებიც ცნობილია. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გერმანელმა მეცნიერმა ეგერმა, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ გამოსცა მონოგრაფია, სადაც აღნიშნავს, რომ თუშური მატყლი ერთადერთია მთელ მსოფლიოში, რომელიც ღრუ ღეროიანია. იგი შესანიშნავად არეგულირებს სხეულის ტემპერატურულ რეჟიმებს და 20-ზე მეტ დაავადებას კურნავს. ზაფხულშიც რომ გეცვას მატყლის მაისური, ღრუ ღეროების წყალობით ოფლს ვერ იგრძნობთ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილობრივები ძირითადად იყენებენ შემოტანილ მზა ძაფებს და ადგილობრივ ნედლეულს პრაქტიკულად აღარ იყენებენ.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის შედეგებისა და ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მთელი რიგი დარღვევებისა, როგორც ორნამენტის, ასევე მასალისა და საღებრების გამოყენების თვალსაზრისით. ქართული ტრადიციული საფეიქრო მრეწველობა კვლავ ცოცხლობს და აგრძელებს ტრადიციებს.

სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს ამ დარგის განვითარებას. საჭიროა ავაღორძინოთ და თამამად დავნერგოთ თუშური ხელსაქმის სახეობები თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიებში, რადგან მაღალგანვითარებული საფეიქრო მრეწველობა ერთ-ერთი საწინდარია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა.

გამოყენებული ლიტერატურა

Kvavadze, E. (2009). 30,000-Year-Old Wild Flax Fibers. *Journal of Science 325* (თანაავტორები: Bar-Yosef, O., Belfer-Cohen, A., Boaretto, E., Jakeli, N., Matskevich, Z., Meshveliani, T.) (5946).

Mertens Stienon, M. L. (1939). *'Occultisme du zodiaque*. Paris.

აზიკური, ნ. (2002). ნაბადი ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი.* თბ.

ბოჭორიძე, გ. (1993). *თუშეთი, ეთნოგრაფიულ-ფოლკორული მასალები.* რედ. გ. ცოცანიძე. თბილისი.

გეორგიკა. (1936). ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. 3. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.

ისაკაძე, ქ. (1970). *საფეიქრო საქმე საქართველოს უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე.* თბილისი.

მაკალათია, ს. (1983). *თუშეთი.* რედ. თ. უთურგაიძე. თბილისი: გამომც. „ნაკადული“

მაკალათია, ს. (1985). *ფშავი.* თბილისი: გამომც. „ნაკადული“

ციციშვილი, ე. (1998). *ქართული ხალხური ტრადიციები დიზაინის სამსახურში.* თბილისი: ჟურნალ „არქიტექტურა და დიზაინის“ გამომცემლობა.
მსშხი. (1982). *მასალები საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის.* ტ. II. ნაწ. II. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.

REFERENCES

Kvavadze, E. (2009). 30,000-Year-Old Wild Flax Fibers. Journal of *Science* 325 (5946). (tanaavtorebi: Bar-Yosef, O., Belfer-Cohen, A., Boaretto, E., Jakeli, N., Matskevich, Z., Meshveliani, T.).
Mertens Stienon, M. L. (1939). 'Occultisme du zodiaque. Paris.
azikuri, n. (2002). nabadi qarTvelTa traditsiul kofashi, kreb.: istotriul-eTnographiuli dziebani. [nabadi (felt (cloak) in the traditional life of Georgians], Tbilisi.
bochoridze, g. (1993). TusheTi, eTnographiul-folkloruli masalebi. red. g. tsotsanidze. [Tusheti, ethnographic-foklore materials]. Tbilisi.
Georgika. (1936). bizantieli mtserlebis cnobebi saqarTvelos shesakheb. t.3. berdznuli teqsti qartuli TargmaniTurT gamosca da ganmartebebi daurTo s. kaukhchishvilma. gamomcemloba "metsniereba". [Byzantine Writers` Reports on Georgia]. Tbilisi.
isakadze, q. (1970). safeiqro saqme saqarTvelos udzvelesi droidan me-19 saukunemde.[Homeindustry in Georgia from the ancient time to till 19th century]. Tbilisi.
makalaTia, s. (1983). TusheTi. red. T. uTurgaidze. gamomc. "nakaduli". [Tusheti] Tbilisi
makalaTia. s. (1985). fshavi. gagmomc. "nakaduli". [Fshavi]. Tbilisi.
msshkhi (1982). masalebi saqartvelos shinamretsvelobisa da tsvrili khelosnobis istoriisatvist. t. II. nawili II. qsova, gebva, qargva. gamomcemloba 'metsniereba". [Materials for the history of Georgian domestic industry and small crafts. Tbilisi: Publishing house "Metsniereba"].
Tsitsishvili, e. (1998). qartuli khalkhuri traditsiebi dizainis samsakhurshi. Jurnal "arqiteqtura da dizainis" gamomcemloba. [Georgian folk tradition in the service Design]. Tbilisi.

ილუსტრაციები

1. თუშური ორნამენტი - დაკაული
2. თუშური ორნამენტი - ნაჭრელი
3. თუშური ორნამენტი - ყვავისფეხა
4. ხევსურული ორნამენტი -თავნახარა

Illustrations

1. Tushetian ornament - dakauli
2. Tushetian ornament - nachreli
3. Tushetian ornament - kvavisfekha
4. Khevsuretian ornament - tavnakhara

სურ.1

სურ.2

სურ.3

სურ.4